ქვეპროგრამის დასახელება:	<b>სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	79377
სახელმწიფო ბიუჯეტი	734947
სხვა .....	0
სულ ქვეპროგრამა	<b>814324</b>
მ.შ. კაპიტალური პროექტები	814324

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის № 2392 განკარგულებით გამოყოფილ 207713 ლარს დაემატოს „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს № 1679 განკარგულებით 305,13 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 31902 ლარი და დაფინანსდეს

- შეხვეტილას ადმინისტრაციულ ერთეულში „მანგლისი-არხოტი“-ს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ერთმალაინი საავტომობილო ხიდის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საიდანაც 2026 წელს გათვალისწინებულია 239920 ლარი (მათ შორის სახ ბიუჯეტი 208018 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 31902 ლარი. (სახელმწიფო ბიუჯეტით 299900 ლარი, 2025 წელს გადარიცხულია 59980)

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 (ცვლილ. დოკუმენტი - 2019 წლის 19 აპრილის №836 განკ.) განკარგულების შესაბამისად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 444,9 ათასი ლარიდან 2021 წელს ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია შეადგენს:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფელ ჯორჯიაშვილში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებიდან **12299,00** ლარს;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. ფარცხისის მიმდებარედ მდინარე ფარცხისის წყლის კალაპოტში გაბიონის მოწყობის სამუშაოებიდან **9919,00** ლარს.

**მიზანი და აღწერა**

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ადდგენასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იქნეს **34451** ლარი.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის №383 განკარგულების თანახმად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 3932175,97 ლარიდან 2026 წელს 504718,18 ლარით დაფინანსდეს:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ლიპში მისასვლელი ალტერნატიული 1.5 კმ. გზის მოწყობის (1 199 175,97 ლარი) და თეთრიწყარო-სამღერეთის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-15 კმ-ზე, მდ. ასლანკაზე არსებული მილხიდის დემონტაჟისა და ახალი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოს შესყიდვაზე 369856,86 ლარით. (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 1 753 000 ლარს)
- სოფელ ჯორჯიაშვილში მდინარე ალგეთის ნაპირზე მოწყობილი სასმელი წყლის სადრენაჟე არხის და წყალსაქაჩი სადგურის მოწყობა- რეაბილიტაცია 134861,29 ლარით (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 980 000 ლარს)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის (თოვლის) შედეგად საავტომობილო/მისასვლელი შიდა გზების თოვლისგან გაწმენდის მომსახურების შესყიდვა სულ 80 კმ - 176000 კვმ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 13 024,00 ლარი,



პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სხვადასხვა ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 11 01
ქვეპროგრამის დასახელება:	საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო-სამეურნეო დაიშნულების მიწების საკადასტრო რუკების მომზადების ხარჯი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	10 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
<b>მიზანი და აღწერა</b>	საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო-სამეურნეო დაიშნულების მიწების საკადასტრო რუკების მომზადების მომსახურებისათვის განისაზღვროს <b>10,0</b> ათასი ლარი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სხვადასხვა ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 11 02
ქვეპროგრამის დასახელება:	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	220 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	220 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	



<b>მიზანი და აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.
	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.
	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისთვის განისაზღვროს <b>220,00</b> ათასი ლარი
მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდარტებს)

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	<b>სხვადასხვა ხარჯები</b>
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>02 11 03</b>
ქვეპროგრამის დასახელება:	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	170 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	170 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2393,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 393,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 393,0



პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>03 01</b>
პროგრამის დასახელება:	<b>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</b>
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p>მუნიციპალიტეტის ერთ ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო 20 ტერიტორიული ერთეულიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დატვირთვა და გატანა, როგორც კონტეინერული ასევე ზარის პრინციპით. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქ.თეთრიწყაროში 59 ქუჩის, დაბა მანგლისში 27 ქუჩის, სოფელ კოდამი ჩამოსახლებულ დევნილთა დასახლებაში და სოფელ ასურეთში ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზა-შვებების ქუჩის დაგვა-დასუფთავება. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება 3 ნაგვის გამზიდი, 2 სპეც მანქანა (კონტეინერული პრინციპი), 3 (JAC) მარკის თვითმცლელი (ზარის პრინციპით 27 სოფელი) და 3 მცირე ტვირთამწეობის (VTZ T-16) მარკის ტრაქტორი (დაგვა-დასუფთავების ნარჩენების შეგროვება). პროგრამა მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდირებით მიღებული სახსრები.</p> <p><b>მომსახურებაზე შპს „თეთრიწყაროს სერვის ჯგუფის“ სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იქნეს 2393,0 ათასი ლარი</b></p> <p>ნარჩენების მართვის პროცესში გათვალისწინებული იქნება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტები. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.</p>
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	დასუფთავებული გარემო. გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

**მუხლი 15. განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7463,1 ათასი ლარი.

განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
04 00	განათლება	7 463,1
04 01	სკოლამდელი განათლება	6 280,0
04 01 01	ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“	6 146,7
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაცია	133,3



04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1 183,1
04 02 01	სკოლების რეაბილიტაცია	246,4
04 02 02	მოსწავლეთა ტრანსპორტირება	936,7

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სკოლამდელი განათლება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	6 146 700
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	6 146 700
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>დღეის მდგომარეობით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 618 ზე მეტი ბავშვი მათ შორის: გოგონა 276 , ხოლო ბიჭი 342 ბაღებში ჯამში დასაქმებულია 273 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“ პროგრამის მიზანია:</p> <p>- ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>- ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>- ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>- ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p>



<p><b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b></p>	<p>- ბაგა-ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება;</p> <p>- ა(ა)იპ - „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა;</p> <p>- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები 0-7 წლის ასაკის ბავშვებისათვის ადრეული განვითარების ხელშეწყობა, მათი პოტენციალის სრულად გამოვლენა, განვითარების ეტაპების დარღვევის დროული იდენტიფიცირება და პროგრამაში ჩართვა, ბავშვის ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამის პოტენციური ბენეფიციარებისათვის, პროგრამაში ჩართვამდე, მომსახურების დაუყოვნებლივ მიწოდება.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 618-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, მათ შორის: გოგონა 276, ხოლო ბიჭი - 342. რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 50%-ს შეადგენს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრში“ დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)</p>	<p>მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.</p> <p>მოზარდების ტრანსპორტირება სასწავლო დაწესებულებებში აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.</p>

<p>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</p>	<p><b>სკოლამდელი განათლება</b></p>
<p>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</p>	<p><b>04 01 02</b></p>
<p>ქვეპროგრამის დასახელება:</p>	<p><b>სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაცია</b></p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</p>	<p>ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.</p>
<p>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</p>	<p>2026 წელი</p>
<p>მუნიციპალური ბიუჯეტი</p>	<p></p>
<p>სახელმწიფო ბიუჯეტი</p>	<p>133327</p>
<p>სხვა .....</p>	<p></p>



სულ ქვეპროგრამა	133327
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით სოფელ ჯორჯიაშვილში მდებარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან დარჩენილი ეკონომია შეადგენს <b>29442</b> ლარს</p> <p>საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის №519 განკარგულების საფუძველზე</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფელ ორბეთის საბავშვო ბაღის აღჭურვის მიზნით გამოყოფილია 103885 ლარი</li> </ul>

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ზოგადი განათლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02 01
ქვეპროგრამის დასახელება:	სკოლების რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის განმხორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	246374
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	246374
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულების საფუძველზე გათვალისწინებული იქნეს 6,0 ათასი ლარი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორში მდებარე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე 2,1 ათასი ლარი</li> <li>• თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე საჯარო სკოლის საპირფარეშოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შეყიდვაზე 3,9 ათასი ლარი</li> </ul> <p>„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 განკარგულების შესაბამისად გათვალისწინებული 280,0 ათასი ლარიდან 2025 წელს ათვისებული იქნა 39625,77 ლარი, 2026 წელს გათვალისწინებულია 240374,23 ლარი, საიდანაც დაფინანსდება შემდეგი პრიექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე საჯარო სკოლის შენობის და სოფელ სამღერეთში მდებარე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის</li> </ul>



	<p>სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნეს 232814 ლარი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის (საქვაბის) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გათვალისწინებული იქნეს 7559,39 ლარი. (სახელშ თანხა 37796,96 2025 წელს გადარიცხულია 30237,57)</li> </ul>
მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)	მეტი რეაბილიტირებული სკოლები

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ზოგადი განათლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მოსწავლეთა ტრანსპორტირება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	936664
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	936664
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>"ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეწყობის საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №146 განკარგულების (2025 წლის 30 ივლისის №302 მთ განკარგულების) საფუძველზე დაფინანსდეს 2025 წლის დეკემბრის თვეში საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურება 86348 ლარით</p> <p>"ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეწყობის საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260-1 განკარგულებით საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი იქნეს 850316 ლარი</p>

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5656,4 ათასი ლარი.

„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის“ პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5 656,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3 186,4



05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ "კულტურისა და სპორტის ცენტრი"	1 280,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 906,4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 410,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა; ააიპ „კულტურისა და სპორტის ცენტრი“	2 340,0
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	70,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	60,0
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	60,0

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 280 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	1 280 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
მიზანი და აღწერა	<p>ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (95 ბავშვი, მათ შორის 27 გოგო და 68 ვაჟი); კრივი (41 ბავშვი, მათ შორის 2 გოგო და 39 ვაჟი); რაგბი (20 ბავშვი, მათ შორის: 2 გოგონა და 18 ვაჟი); მკლავჭიდი (50 ვაჟი); კარატე (49 ბავშვი, მათ შორის: 10 გოგონა 39 ვაჟი); ძიუდო (84 ბავშვი, მათ შორის: 15 გოგონა 69 ვაჟი); ფრენბურთი (20 ბავშვი, 16 გოგო, 4 ვაჟი), კალათბურთი (13 ვაჟი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (39 ვაჟი); თავისუფალი ჭიდაობა (57 ვაჟი), მშვილდოსნობა (4 გოგონა) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 472 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტის სამსახურში დასაქმებულია ჯამში 49 ადამიანი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul>



	ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებსა და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.
მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)	მოზარდ ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები. სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1658273
სახელმწიფო ბიუჯეტი	248081
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	1906354
მ.შ. კაპიტალური პროექტები	1906354
	<b>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</b>
<b>მიზანი და აღწერა</b>	<p>ქ.თეთრიწყაროში დიდგორის ქ №8-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოს შესყიდვაზე 2026 წელს გათვალისწინებული იქნეს <b>1 630 297</b> ლარი (სახელმეკრულებო ღირებულება 3 222 091 ლარი; 2024 წელს გადარიცხულია 644418,80, ხოლო 2025 წელს 947374,86)</p> <p><b>"საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი 150000 ლარიდან 114954 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 20970 ლარით დაფინანსდეს :</b></p> <p>- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული ამორტიზირებული მინი სპორტული მოედნის ადგილას ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისთვის <b>135 924</b> ლარი. (მათ შორის ადგ ბიუჯეტ 20970 ლარი)</p> <p><b>„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:</b></p> <p>- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათში (ფაბრიკის დასახლებაში ს/კ №84.06.34.000.152) ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობის</p>



	სამუშაოები 140133,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 133127,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 7006,00 ლარი)
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)	მეტი ახალი და რეაბილიტირებული სტადიონები. ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა; მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01
ქვეპროგრამის დასახელება:	<b>კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა;</b> <b>ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2 340 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	2 340 000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
<b>მიზანი და აღწერა</b>	<p>ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრში“ გაერთიანებულია 8 სხვადასხვა მიმართულებები, 5 ქორეოგრაფიული წრე (სულ 237 ბავშვი, მათ შორის 164 გოგო და 73 ვაჟი), 2 ფოლკლორული ანსამბლი (18 წევრი), 2 ბავშვთა საესტრადო წრე (სულ 11 გოგონა და 3 ვაჟი). ქართული ხალხური საკრავები (სულ 101 ბავშვი, მათ შორის 57 გოგონა და 44 ვაჟი); გიტარის წრე (სულ 18 ბავშვი 12 გოგონა და 6 ვაჟი); კლასიკური მუსიკის სკოლაში ფორტეპიანოს ეუფლება (191 მოსწავლე, მათ შორის 151 გოგო და 40 ვაჟი); ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 555 აღსაზრდელი.</p> <p>ხელოვნების განყოფილებაში გაერთიანებულია 13 წრე: თეატრი (სულ 7 ბავშვი - 5 გოგონა, 2 ვაჟი), ხატვის 3 წრე (სულ 36 ბავშვი, 24 გოგონა, 12 ვაჟი); თეის წრე (23 ბავშვი, 19 გოგონა, 4 ვაჟი), კერამიკის წრე (6 ბავშვი -3 გოგონა, 3 ვაჟი), ხალიჩების ქსოვის 2 წრე (სულ 15 გოგონა), ქსოვა 2 წრე(სულ 15 ბავშვი-12 გოგონა, 3 ვაჟი), ქარგვა-თექა 8 ბავშვი, მათ შორის (7 გოგონა და 1 ვაჟი), მინანქარი (11 გოგონა), ხეზე კვეთა (5 ვაჟი), ქვილთი (6 გოგონა), ქარგვა (6 გოგო), ჭრა კერვა (2 გოგონა), მხატვრული კითხვის წრე , 6 ბავშვი მათ შორის (5 გოგონა და 1 ვაჟი). ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 146 აღსაზრდელი.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 12 000 ექსპონატი. წლის განმავლობაში მუზეუმი საშუალოს 500 ვიზიტორს მასპინძლობს. მუნიციპალიტეტის 10 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 69 658 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 1752 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p> <p>ქვეპროგრამის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტები, ცენტრი კულტურის წრეების საქმიანობის</p>



პროცესში ითვალისწინებს გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებებს. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

მოსალოდნელი შედეგი (2026 წელი)	ახალგაზრდა თაობის მეტი ჩრთულობა
--------------------------------	---------------------------------

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>05 02 03</b>
ქვეპროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	70000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	70000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
მიზანი და აღწერა	თეთრიწყაროსა და მანგლისის ეპარქიის სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იქნეს 70,0 ათასი ლარი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>05 03 01</b>
ქვეპროგრამის დასახელება:	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	60000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	



სულ ქვეპროგრამა	60000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის გაცემას, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (90 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად. ასევე, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ამავე მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეებზე, რომელთაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შეძლეს წარმატებით ჩარიცხვა და მოიპოვეს 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი გრანტი. ქვეპროგრამა ასევე, ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას სახელობის ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ამავე მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებში რეგისტრირებულ ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეებზე.</p>
	<p>ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია სტუდენტებზე სემესტრულად შეადგენს 500 ლარს, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია აბიტურიენტთათვის: 100%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 1000 ლარს, 70%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 700 ლარს, 50%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 500 ლარს, ოქროს მედალოსანი მოსწავლეებისთვის - 500 (ხუთასი) ლარს, ხოლო ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებისთვის - 400 (ოთხასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p>
	<p>სტუდენტებზე და აბიტურიენტებზე პრემიის გაცემა მოხდება პირადი განცხადების, ნიშნების ფურცელისა და გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო მოსწავლეთა შემთხვევაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილის საფუძველზე.</p>
	<p>ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეზე, რომელმაც თავის საქმიანობაში მიაღწია წარმატებას და მოიპოვა აღიარება.</p>
	<p>ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი პროგრამების განხორციელებისთვის სპეციალისტების მომზადების დაფინანსება და ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერის გაცემას აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებლების სტუდენტებზე.</p>
	<p>ფულადი მხარდაჭერა პროფესიული პროგრამის სტუდენტზე, სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერადად, შეადგენს 500 ლარს, ასევე ერთჯერადად 500 ლარს წარმატებულ მოქალაქეზე, ხოლო არაუმეტეს 2000 ლარს - მიზნობრივ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p>
	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების ფორმით განხორციელებს ადგილობრივი არაკომერციული სათემო ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერას</p>
ქვეპროგრამის კოდი	ლონისძიების დასახელება
05 03 01	ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის
05 03 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
05 03 01	ბასილ მელიქიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია
05 03 01	პრემია წარმატებულ აბიტურიენტებზე
05 03 01	ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა;
გაეროს მდგრადი განვითარების	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და



### მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2100,7 ათასი ლარი.

„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 100,7
06 01	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	207,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 893,7
06 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება.	665,0
06 02 02	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“	827,8
06 02 03	მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი, დევნილი და ეკომიგრანტი) ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა. სსიპ „წითელი ჯვარი“	315,9
06 02 04	დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	10,0
06 02 05	გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორს-მაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება	50,0
06 02 06	მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება	20,0
06 02 07	სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება	5,0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“
პროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი



დაფინანსების წყარო	
მუნიციპალური ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	207000
სხვა....	
სულ ქვეპროგრამა	
სულ ქვეპროგრამა	207000
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

- ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;
- ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;
- ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას;
- ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- თ) პირველად ჯანდაცვაში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის პოგრამა.
- ი) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის: ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი);
2. იმუნიზაცია;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
5. მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის



	რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია



ქვეპროგრამა:	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 01
ქვეპროგრამის დასახელება:	<b>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. შშმ ბავშვების დახმარება</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	665 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
სულ ქვეპროგრამა	<b>665 000</b>
მ.შ. კაპიტალური პროექტები	

დახმარებას მიიღებენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები: დიალიზზე მყოფი პირები ტრანსპორტირებისთვის მიიღებენ ყოველთვიურ დახმარებას არაუმეტეს 200 ლარისა. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ - 90 წლის და უფროსი ასაკის პირები (100 ლარით) და 100 წლისა და უფროსი ასაკის პირები (დახმარებად განსაზღვრულია ერთჯერადად 1000 ლარი), უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები (არაუმეტეს 100 ოჯახი) ზამთრის პერიოდში გათბობის მიზნით მიიღებენ ერთჯერადად 400 ლარს. შშმ ბავშვები (500 ლარით), მკვეთრად გამოხატული შშმ პირები (500 ლარით), მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შშმ ვეტერანებს (500 ლარით)

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებისას რეაბილიტაციის თანადაფინანსება მზღვეველის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობის შესაბამისად. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება, როდესაც პაციენტის თანაგადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება 3000(სამი ათას) ლარს, არაუმეტეს სამედიცინო დაზღვევის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობისა. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 3000 (სამი ათას) ლარს, დაფინანსდება მზღვეველის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობის მიუხედავად.

დიაგნოსტიკური კვლევების საჭიროებისას, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა და გააჩნიათ 0-დან 65 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი კალკულაციის 100% -ით, ხოლო დანარჩენი მოქალაქეებისათვის -80%-ით. პალიატიური მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი კალკულაციის შესაბამისად, წელიწადში არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა.

